ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2977617

ნომერი: AR1457368

თარიღი : 17.11.2016

გაცემის თარიღი : 02.12.2016

გაცნობის თარიღი : 27.12.2016

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ბაღდადის , N 6 ; ქალაქი თბილისი , ქუჩა ბაღდადის , N 4ა ; ქალაქი თბილისი , ქუჩა ბაღდადის , N 4 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი ონიანი პ/ნ 22001008254
- თეთრიწყარო ს. გოლთეთი

ნომენკლატურა :

- საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა
- შეტყობინება არქიტექტურულ ობიექტზე

გადაწყვეტილება

სამსახურმა განიხილა თქვენი #AR1457368 ელექტრონული განაცხადი, რომლითაც ითხოვთ #01.17.12.025.013, #01.17.12.025.008 და #01.17.12.025.009 საკადასტრო ერთეულით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებზე წარმოებაში დაინტერესებულ მხარედ ჩართვას.

პასუხად გაცნობებთ, რომ “ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს” 2016 წლის 3 ნოემბრის #54 სხდომის დასკვნის და ქალაქ თბილისი მუნიციპალიტეტის მერის 2016 წლის 22 ნოემბრის #1–2289 ბრძანების საფუძველზე ქ. თბილისში, #01.17.12.025.013, #01.17.12.025.008 და #01.17.12.025.009 საკადასტრო ერთეულებით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებზე მოხდა ქალაქმშენებლობითი პარამეტრების გაზრდა და განაშენიანების კოეფიციენტი კ2 განისაზღვრა 6.7-ით.

2016 წლის 30 ნოემბერს #AR1459870 ელექტრონული განცხადებით სამსახურს მომართა მოქალაქე ნიკა მერაბიშვილმა და მოითხოვა #01.17.12.025.015 საკადასტრო ერთეულით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტის შეთანხმება, რომლის საფუძველზე სამსახურში მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება.

თქვენი შეტყობინება სამსახურში მიღებულია ცნობის სახით და წარმოების ჩატარებისა და საჭიროების შემთხვევაში იქნებით ინფორმირებული.

დამატებით გაცნობებთ, რომ აღნიშნული ობიექტის სამშენებლო განვითარებასთან დაკავშირებით თვალყურის დევნება შეგიძლიათ სამსახურის ვებ-გვერდის (www.tas.ge) მეშვეობით ინტერაქტიული რუკაზე საპროექტო ფენის ჩართვის და ძიებაში დაინტერესებაში არსებული ობიექტის საკადასტრო კოდის მითითების შემთხვევაში.